დანართი

საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულა

ა) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს

იმ კრიტერიუმების შეფასებისათვის, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს, გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმულა (ფორმულა №1):

$Q_i = K_i^{\alpha}$ თუ $K_i > 0$, ხოლო

$Q_i = 0,00001$ თუ $K_i = 0$,

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

Q_i – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის i კრიტერიუმის შეფასება;

K_i – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის i კრიტერიუმის თვლადი მაჩვენებელი;

α – i კრიტერიუმის წონა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს და უთითებს საკონკურსო დოკუმენტაციაში. ამასთან, ცალკეული კრიტერიუმების წონათა ჯამი საჭიროა შეადგენს ერთ მთელს: თუ კრიტერიუმების წონაა $\alpha, \beta ... \gamma$, მაშინ $\alpha + \beta + ... + \gamma = 1$.

ბ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს.

იმ კრიტერიუმების შეფასებისათვის, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს, გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმულა (ფორმულა №2):

$$Q_j = \left(\frac{1}{K_j}\right)^{\beta}$$ თუ $K_j > 0$, ხოლო

$Q_j = 0,00001$ თუ $K_j = 0$,

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

Q_j – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის i კრიტერიუმის შეფასება;

K_j – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის i კრიტერიუმის თვლადი მაჩვენებელი;

β – j კრიტერიუმის წონა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს და უთითებს საკონკურსო დოკუმენტაციაში. ამასთან, ცალკეული კრიტერიუმების წონათა ჯამი საჭიროა შეადგენდეს ერთ მთელს: თუ კრიტერიუმების წონაა $\alpha, \beta ... \gamma$, მაშინ $\alpha + \beta + ... + \gamma = 1$.

გ) არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება სატენდერო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს

იმ კრიტერიუმის შეფასებისთვის, სადაც უპირატესობა ენიჭება სატენდერო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს, გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმულა (ფორმულა №3):

$Q_k = K_k^{\gamma}$ თუ $K_k > 0$, ხოლო

$Q_k = 0,00001$ თუ $K_k = 0$,

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

Q_k – პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის k კრიტერიუმის შეფასება;

K_k – სატენდერო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი;

γ – k კრიტერიუმის წონა, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს და უთითებს საკონკურსო დოკუმენტაციაში. ამასთან, ცალკეული კრიტერიუმების წონათა ჯამი საჭიროა შეადგენს ერთ მთელს: თუ კრიტერიუმების წონაა $\alpha, \beta ... \gamma$, მაშინ $\alpha + \beta + ... + \gamma = 1$.

დ) კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას და პრეტენდენტის მიერ პირობის შეუსრულებლობა არ იწვევს მის დისკვალიფიკაციას.

იმ კრიტერიუმების გათვალისწინებისათვის, რომლებიც გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას, შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო დოკუმენტაციის ხარისხს, პირველ ყოვლისა, აფასებს ამ დანართის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით. ამის შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაცია ადგენს, ასრულებს თუ არა პრეტენდენტი საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილ აღნიშნულ პირობას/პირობებს. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრეტენდენტის ხარისხის ჯამური ქულა მცირდება საკონკურსო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამისად.

ე) საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური ქულის განსაზღვრა.

საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური შეფასების განსაზღვრა გულისხმობს ხარისხის ცალკეული პარამეტრების ჯამური ქულის გამოყვანას. საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური ქულა განისაზღვრება მისი საკონკურსო წინადადების ფასთან აგრეგირების მიზნით.

საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური შეფასება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით (ფორმულა №4):

$N_j = Q_1 \cdot Q_2 \cdot .... \cdot Q_i$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

N_j – j პრეტენდენტის ხარისხის ჯამური შეფასება, სადაც $Q_1, Q_2 \ldots \cdot Q_i$ წარმოადგენს ცალკეული კრიტერიუმების შეფასებით მიღებულ ქულებს №1, №2 და №3 ფორმულების შესაბამისად.

„დ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული კრიტერიუმ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმ(ებ)ს, N_j მცირდება საკონკურსო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული ოდენობის შესაბამისად.

ფორმულით დაანგარიშებული ჯამური შეფასებების 0–10-ბალიანი მნიშვნელობის მიღებისათვის შესაძლებელია შემდეგი ფორმულის (ფორმულა №5) გამოყენება:

$$N_{j(0-10)} = 10 \cdot \frac{N_j}{N_{\max}}$$

ფორმულა №5 ემსახურება პრეტენდენტების ხარისხის ჯამური ქულების პროპორციულად ზრდას ან შემცირებას საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტისთვის მაქსიმალური – 10-ბალიანი შეფასების მინიჭებისათვის.

ვ) საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური ქულის საკონკურსო წინადადების ფასთან აგრეგირება.

საუკეთესი საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენისა და პრეტენდენტთა რიგითობის განსაზღვრისთვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა (ფორმულა №6):

$$OC_j = \frac{N_j^{\gamma}}{P_j^{\sigma}}$$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

OC_J – j პრეტენდენტის რანჟირების კოეფიციენტი;

N_j^{γ} – №1–№4 ფორმულების გამოყენებით დაანგარიშებული საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური ქულა;

γ – ხარისხის პრიორიტეტი;

P_j = პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი;

σ = ფასის პრიორიტეტი.